PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები: ხათუნა წერეთელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის MES №301168 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ლევან მადათოვი, წევრი: ხათუნა წერეთელი, დაევალა, შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (მარნეული, შოთა რუსთაველის 13ბ), „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 14 აპრილს, 14.30 საათზე განხორციელდა ჩართვა. შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VI .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

VII.განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

პროგრამის მდგრადობის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში /Higher Vocational Qualification in Preschool Education.
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვალი N2 ბრძანებით, ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანებით და 2019 წლის 3 აპრილის N13 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.მარნეული, შოთა რუსთაველის 13ბ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2019 წლის 14 ივნისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N124 გადაწყვეტილებით შპს „მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს" 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 40 ადგილით. ,,თითოეულ პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების'' დოკუმენტის მიხედვით მიმდინარე სასწავლო პროცესში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული 40 პროფესიული სტუდენტიდან, რომელთა მიღებაც განხორციელდა 2019 – 2020 სასწავლო წლებში, 17 სტუდენტისათვის მიმდინარეობს პროგრამის შესაბამისი პროფესიული მოდულების სწავლების მეორე წელი და ეს ჯგუფი პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამას დაასრულებს 2022 წლის შემოდგომაზე, ხოლო 18 სტუდენტი რომელიც ქართული ენის (B1) მოდულის შესწავლის პროცესშია აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დაასრულებს 2023 წლის შემოდგომაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება განაცხადიდან გამომდინარე აღწერს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ სტუდენტების ადგილების რაოდენობის 40 ადგილით გაზრდის საჭიროებას და შესაბამისად დაწესებულება გეგმავს 2021 წელს დამატებით მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი და 2022 წელს კიდევ 20 პროფესიული სტუდენტი.

პსდ–ს ესაჭიროება კონტიგენტის გაზრდა აღმზრდელის პროგრამაზე, რომელიც წარმოადგენს შრომის ბაზრის შესწავლიდან გამომდინარე მოთხოვნად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. დაწესებულების 2019–2021 წლების მონაცემების მიხედვით მხოლოდ 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელდა სტუდენტთა მიღება. ვინაიდან დაწესებულების პრაქტიკიდან გამოდინარე ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ და ,,საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები არ წარმოადგენს მოთხოვნად პროფესიებს, მისი მატერიალური რესურსი უნდა გადანაწილდეს აქტუალურ პროფესიებზე, კერძოდ ,,საოფისე საქმის“ განხორციელებისათვის საჭირო A გარემო გამოყენებულ უნდა იქნას ,,აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაზრდილი კონტიგენტით განხორცილების მიზნებისათვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დისტანციური ჩართვის ფარგლებში ექსპერტებს მიეცათ სასწავლო გარემოს დათვალიერების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მატერიალური რესურსი არ მოითხოვს განსაკუთრებულ სპეციფიკურ მახასიათებლებს და მოდულების განხორციელების ძირითადი დატვირთვა მოდის A და B ტიპის სასწავლო გარემოზე. დაწესებულებას აღმზრდელის პროფესიული პროგრამისთვის გამოყოფილი აქვს 2 აუდიტორია: №1 და №7. აღნიშნული აუდიტორიების ფართიდან გამომდინარე, თითოეულში შესაძლებელია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის განთავსება. სწავლის პროცესი დაგეგმილია ცვლებში. დაწესებულება დღის განმავლობაში, ორ ცვლაში გეგმავს თითოეულ აუდიტორიაში 40 პროფესიული სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის ორგანიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს შერეული ტიპის სწავლების შესაძლებლობის შესახებ, რაც გულისხმობს გარკვეული სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში მიღწევას პირისპირ სწავლების პარალელურად. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება იზიარებს ექსპერტების ხედვას შერეული ტიპის სწავლების დაგეგმვისას დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინების თაობაზე, დისტანციურად განხორციელებულ სწავლებასთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა აუდიტორიების ჩამონათვალი, რაც განკუთვნილია სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ყველა პროგრამას აქვს მისთვის განკუთვნილი აუდიტორია. პსდ–ს აქვს ორი B გარემო. თითოეულში განთავსებულია 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და ერთი მასწავლებლის კომპიუტერი. პსდ–ს მიერ წარმოდგენილია B გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილი, რითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდილ სტუდენტთათვის დასტურდება B გარემოს გამტარუნარიანობა. პსდ–ს მიერ წარმოდგენილ აუდიტორიებში განთავსებულია მოდულის განსახორციელებლად საჭირო ყველა მატერიალური რესურსი. დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 2.5 და 2.6 მუხლების შესაბამისად მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A და B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია ერთდროულად იმდენი მოდულის განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს”

ამჟამად პსდ–ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს (2 ჯგუფს). დაწესებულების მიერ გამოყოფილი აუდიტორიები (№1, №7) საკმარისია მაქსიმუმ 60 პროფესიული სტუდენტისათვის, აგრეთვე თავად პსდ–ს მიერ განსაზღვრულია, რომ პირველ წელს მიიღებს 20 სტუდენტს და მეორე წელს კიდევ 20 სტუდენტს. ამ პირობის დაცვით ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფი ეთანხმება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 20 სტუდენტით.

სასწავლო გეგმის მიხედვით ერთი ჯგუფისთვის კვირეული დატვირთვა შეადგენს 35-40 საათს, საიდანაც დგინდება, რომ ორ აუდიტორიაში, ორ ცვლაში 35-40 საათიანი კვირეული დატირთვის პირობებში, რაც შეადგენს 70-80 საათს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დაწესებულების სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში წარმოდგენილ ჩანაწერს ეწინააღმდეგება სასწავლო პროცესის განხორციელება. პსდ–ს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხედვით სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სტუდენტის არა მხოლოდ საკონტაქტო დატვირთვა, არამედ კვირეული საერთო დატვირთვის მოცულობა (საკონტაქტო+დამოუკიდებელი+შეფასება). ექსპერტების თხოვნის საფუძველზე დამატებით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოწოდებულ სასწავლო გეგმაში არ არის მითითებული საკონტაქტო კვირეული დატვირთვები. გადმოგზავნილ სასწავლო გეგმაში კვლავ მითითებულია სტუდენტთა საერთო საათები, რის გამოც ექსპერტებმა მიიღეს გადაწყვეტილება ეხელმძღვანელათ სასწავლო გეგმაში მითითებული დატვირთვებით, რომელიც შეადგენს 35-40 საათს.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ შემადგენელი მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია 2018 წლის 11 სექტემბერს 6 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის) ბაზაზე და პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნებისთვის ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 20 პროფესიული სტუდენტისთვის პროგრამის აღნიშნული მოდულების რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებას.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ პირველი მუხლის მე–10 პუნქტი არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას შემდეგნაირად: ,,20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ‘’

   პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნებისთვის დაწესებულებამ დასაქმებული მასწავლებლების რიცხვი არ გაზარდა. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელი“ ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 18 პერსონალი. თითოეული მოდულის განმახორციელებელი 2 ან 3 პირია. რომელთა რაოდენობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მხოლოდ 20 სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში. პსდ–ს ჰყავს როგორც ზოგადი ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალი რომლებსაც შეუძლიათ თავისუფლად სამ 20 კაციან ჯგუფში ერთდროულად დღის პირველ და მეორე ცვლაში ასწავლონ როგორც ზოგადი ასევე პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

3. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის დანართის - ,,ადამიანური რესურსების შესახებ'' მიხედვით, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებისთვის შერჩეულ პირებს გააჩნიათ დარგის შესაბამისი განათლება/სამუშაო პრაქტიკა და ზოგიერთ შემთხვევებში სწავლების/პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება დამატებით მოწოდებულ დოკუმენტებით - პირადი საქმეებით.
   გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შერჩეულ პირებს საქმიანობის განხორციელებამდე უტარდებათ შიდა ტრენინგები, კომპეტენციებს დაფუძნებული სწავლების შეფასების ნაწილში. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულებაში ტარდება შიდა ტრენინგები, საჭიროებისამებრ იმართება ინდივიდუალური კონსულტაციები.
   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმახორციელებლებად შერჩეული პირები იცნობენ/ფლობენ პროფესიული სტუდენტების როგორც სწავლის შედეგების გამომუშავების, ასევე მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პრინციპებს/უნარებს, სისტემაში გავრცელებული მიდგომების გათვალისწინებით.

4. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ხელმძღვანელად განსაზღვრულია სფეროში შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს ქ.მარნეულის N3 ბაგა-ბაღის გამგე-მენეჯერს. მას უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, თუმცა დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული პროგრამის ხელმძღვანელობასა და სწავლებაში ჩართულობას შორის დროის გადანაწილება. პროგრამის ხელმძღვანელი დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. გასაუბრებისას ხელმძღვანელმა ისაუბრა მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც მდგომარეობს პროგრამის შემუშავება, დანერგვა, განხორცილებაში; პროგრამაში ცვლილების ინიცირებაში; სასწავლო რესურსის განახლებაში; ასევე განმახორციელებლების შერჩევაში, პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

მასწავლებლებისათვის კალენდარული გეგმების შედგენასა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის ეტაპზე კონსულტირების გაწევაში, განსაკუთრებით სისტემაში ახლადშემოსული განმახორციელებლებისთვის. გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა სასწავლო რესურსის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ დაგეგმილია გარკვეული სახელმძღვანელოების დამატება/თარგმნა უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკეების გზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულ პირს გააჩნია დარგის შესაბამისი კომპეტენცია.

5. დისტანციური ჩართვის დროს უზრუნველყოფილი იქნა ბიბლიოთეკის დათვალიერება. გადამოწმების მიზნით, ბიბლიოთეკარმა მოახდინა ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით დასახელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის მოძიება. შედეგად, დადასტურდა სახელმძღვანელოების არსებობა როგორც კატალოგში, ასევე მატერიალური/ელექტრონული სახით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა და სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობა. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან/და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტის სწავლის და ,,პრაქტიკული პროექტის'', ,,გაცნობითი პრაქტიკის' მოდულების განხორციელების პერიოდში ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს შექმნის და მოემსახურების უზრუნველყოფის მიზნით პსდ–ს გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის უფლება–მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა პსდ გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში ამ კადრით უზრუნველყოს დაწესებულება.

პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის მართვის სპეციალისტთან გასაუბრებით დგინდება, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მზად არის უზრუნველყოს ისინი სასწავლო პროცესის პერიოდში სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო რესურსით, მოახდინოს მოდულების მოდიფიცირება და ადაპტირება სსსმ პირების საჭიროების გათვალისწინებით.

ზემოთღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება სსსმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფის მზაობა და მათი საჭიროებების/მოთხოვნილებების შესაბამისად ადაპტირების შესაძლებლობა.

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მდგრადობა, პროგრამის ბიუჯეტით დადგენილი რენტაბელობის ზღვრის გათვალისწინებით. წარმოდგენილი ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასურია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტში გადასარიცხი წილი, პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, პრაქტიკის ბაზები, მასალა და ნედლეული, დიპლომის/დანართების მომზადება და მოგების წილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- **პროგრამის ზღვრული რაოდენობის გაზრდის დასაბუთება;**
- **პროგრამის მოდულების განმახორციელებელთა პირადი საქმეები;**
- **პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება;**
- **„აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი;**
- **„აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი;**
- **B გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილი;**
- **აუდიტორიების გამტარუნარიანობის ცხრილი;**
- **ონლაინ დათვალიერების შედეგები;**
- **პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები;**
- **კოლეჯის დირექციასთან გასაუბრების შედეგები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- **პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;**
- **პროგრამის სასწავლო გეგმა.**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ბიუჯეტი.**

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი.

19.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: